ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N4 გადაწყვეტილების

დანართი 1.

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობებით გათვალისწინებული
სამეცნიერო აქტივობების
(კლასიფიკატორი)

1. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა და შესაბამისი კონფერენციის თეზისები:

1.1. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

1.2. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ;

1.3. ეროვნული ან საერთაშორისო კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის 1.1 და 1.2 ქვეპუნქტები;

1.4. სხვა კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის 1.1, 1.2. და 1.3. ქვეპუნქტები;

2. სამეცნიერო პუბლიკაცია/გამოგონება/პატენტი:

2.1. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის WebofScience-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

2.2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal&Country Rank, Research Gate-ისმიერ;

2.3. რეცენზირებული(Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიეროს ტატიები, რომლებიც ინდექსირებულია GoogleScholar-ში;

2.4. ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის - რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი;

2.5. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულიატომსონროიტერისWeb of Science-ისანScopus-ისსაკონფერენციომასალების ციტირების ინდექსით;

2.6. სტატიები საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულიაGoogle Scholar-ში;

3. მონოგრაფია

3.1. მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათშორის ლექსიკოგრაფიული,

წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal&Country Rank, Research Gate-ის მიერ;

3.2. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონეPeer-reviewed) მონოგრაფია(მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*;

3.3. საქართველოში გამოცემული მონოგრაფია, რომლებსაცაქვთ ISSN ან ISBNკოდი.

4. სამეცნიერო გრანტი

4.1. დაფინანსებულ საერთაშორისო გრანტი;

4.2. შოთა რუსთაველისეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტი;

4.3. ბსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი;

4.4. სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი;

4.5. მაღალი შეფასების მქონე (მაქსიმალური შეფასები 80% და მეტი) სამეცნიერო გრანტის პროექტი;